საქართველოს მთავრობის

დადგენილება №278

2018 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის ნებადართული მაქსიმალური გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №393 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის ნებადართული მაქსიმალური გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №393 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/08/2017, 300160070.10.003.020102) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის – „სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური გაბარიტები და მასა, ასევე მათი თანმდევი სხვა პარამეტრები“ 2.2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2.2.	შესახსრებული სატრანსპორტო საშუალებები ხუთი ან ექვსი ღერძით	
	ა) ორღერძიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება სამღერძიანი ნახევარმისაბმელით;	40 ტონა
	ბ) სამღერძიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ორ ან სამღერძიანი ნახევარმისაბმელით;	40 ტონა
	გ) ორღერძიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება სამღერძიანი ნახევარმისაბმელით, რომლითაც ხორციელდება ინტერმოდალურ სატრანსპორტო ოპერაციებში 45 ფუტამდე მაქსიმალური სიგრძის ერთი ან მეტი კონტეინერის ან სახსნელი ძარის გადაზიდვა;	42 ტონა
	დ) სამღერძიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ორ ან სამღერძიანი ნახევარმისაბმელით, რომლითაც ხორციელდება ინტერმოდალურ სატრანსპორტო ოპერაციებში 45 ფუტამდე მაქსიმალური სიგრძის ერთი ან მეტი კონტეინერის ან სახსნელი ძარის გადაზიდვა	44 ტონა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 31 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**